ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ოთხშაბათი, 8 აგვისტო № 1547

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. **ტელეფონი № 372.**

6 მარიამობისთვეს გარდაიცვალა დიდის ხნის ავადმყოფობის შემდეგ

მართა მერაბის ასული ასათიანისა.

ანასტასია ივანეს ასული ასათიანი, სოფიო ივანეს ასული და გრიგოლ დიმიტრის ძე ფარულავები და ეფროსინე იესეს ასული ასათიანისა შვილებით, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ და სთხოვენ მობძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზე, დღეს 8, მარიამობისთვეს, დილის 10 საათზე, მიხეილის ქუჩაზედ № 174. მიცვალებულს დაასაფლავებენ კუკიის წმინდა ნინოს ეკკლესიის სასაფლაოზედ.

(1—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე. კვირა უქმეების გარდა

დილით:

გ. ი. შაშინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 სათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ა. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. ნ. მაჭავარიანი—თვალისა 10—11 სა თამდ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

მ. გ. ფოლდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

გ. დ. მარკევიჩი—სადოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდ.

ა. დ. ბეკთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

საღამოთი:

ა. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კროვატები—მორიგებით. ერთი კროვატი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274. (წლ.)

მთავრობის განკარგულებანი

სამხედრო უწყებას.

კავკასიის 1 პოლკის შტაბს-კაპიტანს რჩეულიშვილს ებოძა კაპიტნობა.

პორუჩიკს თავ. ბარათაშვილს ებოძა შტაბს-კაპიტნობა.

კავკასიის სარეზერვო არტილერიის ბრიგადის პირველ დივიზიონის უფროს ილია მაკარაშვილს ებოძა წმ. ვლად-მერის მე-4 ხარის ორდენი

წმ. ანნას მეორე ხარისხის ორდენი ებოძათ მე-259 ქვეითა სარეზერვო გორის პოლკის პოდპოლკოვნიკს თავ. ივანე მაყაშვილს, მე-39 არტილერიის პოლკის უფროს ტარიელ ჯავრიშვილს, მე-2 კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის ბატარეიის უფროს თავ. ნიკოლოზ ჯავლიშვილს. წმ. ანნას მე-3 ხარისხის ორდენი ებოძათ მე-253 გროზნის სარეზერვო ბატალიონის კაპიტანს ვალერიან წიკლაურს, კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის კაპიტანს ივანე ყაზბეგს, მე-43 ტვერის დრაგუნთა პოლკის როტმისტრს ზაქარია ამაშუკელს, კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის შტაბს-კაპიტანს კონსტანტინე მდივანს.

წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის, ორდენი—მე-261 შემახის ქვეითა სარეზერვო პოლკის პოდპოლკოვნიკს თავ. ლევან ვაჩნაძეს, კავკასიის მსროლელთა მე-5 ბატალიონის პოდპოლკოვნიკს დიმიტრი ყარანგოზიშვილს, მე-153 ბაქოს ქვეითა პოლკის კაპიტანს დავით ჩივაძეს და მე-155 კუბანის პოლკისას-დავიდ გეგელაშვილს, წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის ორდენი ებოძათ: კაპიტნებს მე-14 გრუზინსკის პოლკისას—კონსტანტინე გამყრელიძეს, მე-156 გუმბრის პოლკისას—ვასილ მაჩაბელს და ლეონტი გრიგორაშვილს, ყარსის მეციხოვნე ქვეითა პოლკისას—ალექსანდრე ნამორაძეს, შტაბს-კაპიტნებს მე-83 სამურის პოლკისას—მიხეილ ბაქრაძეს, კავკასიის მსროლელთა მე-8ბატალიონისას—კონსტანტინე ბეგიშვილს, მე-44 ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის შტაბ-როტმისტრს თავ. ივანე რატიშვილს, მეოცე საარტილერიო ბრიგადის პორუჩიკს იოსებ როინაშვილს და მე-39 ბრიგადის პორუჩიკს თავ. მიხეილ მაყაშვილს და სევასტოპოლის ქვეითა ბატალიონის ადიუტანტს ვალერიან ზავრიშვილს.

სამოქალაქო უწყებას

გორის მაზრის პოლიციის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს მგალობლიშვილს ებოძა კოლლეჟსკი რეგისტრატორობა.

ახალი განკარგულება

გრძელ-ვადიან კრედიტის ბანკები თითქმის შეურყეველი დაწესებულებანი არიან. დიდი რამ უკანონობა უნდა ჩაიდინონ ამ ბანკების მეთაურებმა და დამფასებელ კომიტეტმა, რომ საქმე შეაფერხონ, ბანკს სახელი გაუტეხონ. გრძელ-ვადიან კრედიტის ფესვი უძრავ ქონებაშია გადგმული და როგორც უძრავი ქონებაა მაგარი, ისე მაგარი და შეურყეველია ზედ აღმოცენებული კრედიტიც. განსაკუთრებული რამ მოვლენა უნდა მოხდეს, რომ ამ გვარი ბანკი შეირყეს და სახელი გაუტყდეს, გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდეს. შორს არ წავალ. ავიღოთ თუნდ ახლად მომხდარი ამბავი—ხარკოვის საადგილ-მამულო ბანკი. ამ ბანკმა შვიდ მილიონამდე ფული დაჰკარგა, ყოველ-გვარი უწესოება და უკანონობა ჩაუდენია გამგეობას. ამ საქმემ მთელი რუსეთის ყურადღება მიიპყრო; მისი მოვლენა თითქმის ყველამ იგრძნო, ვინც კი კრედიტის საქმეში ცოტათი მაინც ხელს ურევს. ხარკოვის ბანკის აქციები საოცრად დაეცა, მაგრამ ამავე ბანკის გირავნობის ფურცლების ფასი კი თითქმის არ დაძრულა, ზოგიერთ ბანკების ფურცლებზე მაღლად სდგას კურსი. ერთის სიტყვით, დიდ ხანს უნდა ეცადო, დიდ ხანს უნდა უკანობას ჩადიოდე, რომ საადგილ-მამულო ბანკის, ან კრედიტის საზოგადოების საქმეები შეაფერხო, წაახდინო, გააფუჭო.

ჩვენი ქუთაისის საადგილ მამულო ბანკის წახდენა მოინდომა პირველად ყოვლისა ჩვენმავე საზოგადოებამ. თავიდანვე ისეთი მიმართულება, ისეთი გრძნობები და სურვილები გამოიჩინეს ბანკის წევრებმა,—და ქუთაისის ბანკის წევრები ხომ მთელი ქუთაისის თავად-აზნაურობა იყო,—რომ იქვე ეტყობოდა საქმე რიგიანად არ წავიდოდა. თავი და თავი აზრი უმეტესობისა ის იყო, რომ ჩვენ ვაჯობოთ, ისეთი კაცი დავაყენოთ სათავეში, რომელიც პირდაპირ ჩვენი პატივისმცემელია, ჩვენი პირადი საქმისათვის გარჯას და მეცადინეობას არ დაიშურებს, თორემ იმას კი არ ჰფიქრობდა, ეს კაცი რამდენად რიგიანად და ესიერად წაიყვანს საქვეყნო საქმესო. ამ ათ-თორმეტ წლის განმავლობაში ხომ იქამდე მივედით, რომ პოლიცია და ყაზახები ერეოდენ ბანკის საქმეებში. არც ბანკის წესის გადაკეთებამ უშველა. საზოგადო კრების ნაცვლად რწმუნებულთა კრება იქმნა შემოღებული, მაგრამ ეკალზე ეკალი ამოვაო. რაც პირველი იყო, იმის ჩამომავლობაც ისეთივე შეიქმნა. გონებამ მაინც ვერ სძლია და ბანკის მდგომარეობა მაინც ვერ შეიცვალა. წლიური კრებები აღკრძალეს და ის უფლება, ურომლოთაც ამგვარი დაწესებულებანი უსულდგმულონი არიან, დროებით აგვხადეს. რა თქმა უნდა, ეს გარემოება დიდხანს ვერ გასტანდა: მთავრობა დარწმუნდა, რომ ბანკის საქმე თუმცა შესუსტებულია ამდენის ხნის უწესოების და ურიგობის გამო, მაგრამ მაინც არ წამხდარა და მისი გამობრუნება შეიძლება. ფინანსთა მინისტრს მიენიჭა უფლება ქუთაისის ბანკის თავმჯდომარე თითონ დანიშნოს. ეს იმის მომასწავებელია, რომ ბანკის საქმის გაუმჯობესება, განკარგება შესაძლოა. ეს იმედი რომ არ ჰქონოდა მინისტრს, არც ასე მოიქცეოდა, სხვა ზ იმებს იხმარდა და ამ მხრივ სასიამოვნოა ახალი განკარგულება. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ ჩვენ მონიჭებული უფლება ვერ მოვიხმარეთ: მოგვანდეს თქვენი საქმე თქვენვე განაგეთო; ჩვენ-კი ვერ მოვახერხეთ: უმეტეს ნაწილს ჩვენის საზოგადოებისას თავისივე სარგებლობა არა აქვს შეგნებული, შორს მჭვრეტელობას მოკლებულია; საზოგადო საქმე საქვეყნო და საშვილიშვილო საქმეა. თუ მას კარგი მსვლელობა და მიმართულება ექმნება, ყველას ასე თუ ისე, პირად სარგებლობასაც მოუტანს, ეს უბრალო ჭეშმარიტება ვერ შევიგენით, ვერ გავსჭვრიტეთ; ჩვენი საქმე ჩვენვე შევაფერხეთ.

ნუ თუ ეს გარემოებაც ცოტათ მაინც არ დაგვაფიქრებს, ჩვენს გულში არ ჩაგვახედებს, ჩვენს დამღუპველ ჩაკლს არ დაგვანახვებს. ბევრი უბედურება დაგვატყდა თავს, ბევრიც დაგვატყდება, ჩვენს სენს თუ არ გავემკლავეთ, თუ იგი ჩვენვე გულიდან ძირიანად არ ამოვგლიჯეთ რაც კაცი თავის თავს უზამს, მტერი ვერ უზამსო. ჩვენს უბედურობაში, ჩვენ მეტი წილი გვიძევს, ვიდრე იმათ, ვისაც მტრებად ვსახავთ. ჩვენს წახდენაში ბრალს სხვასა ვდებთ—და ეს ხომ სულმოკლეობის ნიშანია.

დაგ. მწ.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

6 აგვისტო.

კიევი. სამხრეთ-დასავლეთში პურის ბაზრის მდგომარეობა შეურყეველია; გამყიდველები თავ-დაჭერით არიან, რადგან ფასების აწევას ელიან. რკინის გზის სადგურებში დიდ ძალი პური მოაქვთ. პურის და ჰვავის ფასმა 2 კაპ. აიწია. კიევის ბაზარზე ფხვნილი შაქარი იყიდება ფუთი 4 მ. 50—4 მ. 60 კ.

ერევანი. თიბვა გათავდა. დიდ ძალი თივა დგება. პურის მოსავალიც კარგია. გაზაფხულის ნათესობა უხვად მოვიდა. ყურძნის მოსავალს კარგს მოელიან.

პარიზი. ველოსიპედების გაჯიბრება, „პარიზიდან ბრესტამდე და უკან“, დაიწყეს პარასკევს, დილით 5 საათზე. პირველი მოვიდა გარენი, რომელმაც 52 საათსა და 11 წუთში გაიარა 1200 კილომეტრი; უკანასკნელი კილომეტრი 2 მინ. და 10 წამში გამოიარა.

პარიზი. „ეკო დე პარი“-ს სიტყვით, ფელდმარშალი გრაფ ვალდერზეე დიდის ქებით იხსენიებს ფრანგის ჯარის კაცს. გრაფს არა სჯერა, ვითომ შესაძლებელია, რომ ოდესმე გერმანიასა და საფრანგეთს შორის ომი მოხდეს.

სოფია. უცხოელ გაზეთში მოყვანილ ცნობას, ვითომ მთავარი იმიტომ არ დაესწრო რუსეთის ესკადრის მისალმების დროს, რომ მას ვითომ მინისტრ-პრეზიდენტმა სთხოვა, რადგან ესკადრა მთელ მხარეს ესტუმრა და არა კერძოდ მთავარსაო, „ბოლგარიის სააგენტო“ მტკნარ სიცრუედ სთვლის. მთავარ ფერდინანდის მოგზაურობა წინადვე დიდ მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის მოსვლამდე იყო გადაწყვეტილი.

სოფია. უკანასკნელ დღეებში კიდევ მოხდა შეტაკება ოსმალეთისა და ბოლგარიის საზღვრის დარაჯებ შორის. „ბოლგარიის სააგენტოს“ სიტყვით, ოსმალებს, რომელთაც პირველად დაიწყეს სროლა, მოუკლეს 4 და დაუჭრეს 5. ბოლგარიის მთავრობამ მიიღო ენერგიული ზომები კონსტანტინეპოლში.

კონსტანტინეპოლი. რადგანაც 12 დღის განმავლობაში არავინ არ გამხდარა შავი ჭირით ავად, სასანიტარო საბჭომ დღეს შესცვალა 20 ივლისიდან შემოღებული საექიმო გამოკვლევა და დეზინფექცია აქედან გამავალ გემებისა.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი გაზ. «როსსია»-ს სწერენ ლონდონიდან: პარლამენტის კრების დროს 30 ივლისს ღამით ლორდ სოლსბერის სამინისტრო არჩევნების დროის აქედ პირველად დამარცხდა.

პალატა ფაბრიკებში და ქარხნებში მუშაობის ვადის თაობაზე კანონს არჩევდა. სწორედ იმ მუხლს არჩევდნენ, სადაც ნათქვამია, რომ შაბათობით ფაბრიკებში და ქარხნებში მუშაობა ადრე უნდა თავდებოდესო.

შინაგან საქმეთა მინისტრი ამტკიცებდა, შაბათობით მუშები შუადღის 12 საათზე კი არა, ნაშუადღევის 1 საათზე უნდა ათავებდნენ საქმესაო. ამ წინადადებას გენში უარყეს და პალატამ 22 ხმის უმეტესობით უარჰყო. გამოჩნდა, რომ მთავრობის ბევრი მომხრეთაგანი ოპოზიციას მიმხრობოდა.

როცა კენტში დათვალეს და მთავრობის დამარცხების ამბავი გაიგეს, ოპოზიციამ დიდი ამბავი მოახდინა: ძლიერი ტაშის ცემა ასტეხა და უყვიროდა: «ურა! სოლსბერი, სამსახურიდან გადადექით! ჩემბერლენ, წაბრძანდით! გვეყოთ მაგდენი ბატონობა! .

დეპუტატმა კილიმ ურჩია პალატას, რაკი მთავრობა დამარცხდა, კრება გადავდოთო, მაგრამ პალატის თავმჯდომარემ უარი სთქვა და კილის წინადადების განხილვის ნება არ მისცა დეპუტატებს იმ საბუთით, რომ მთავრობა პალატის დადგენილობას ემორჩილებაო. ამ განცხადების გამო პალატის კრება აღარ დაიშალა.

დღეს მინისტრთა საბჭოში თათბირობენ იმის თაობაზე, რა შედეგი მოჰყვება გუშინდელ დამარცხებასო. მაინც და მაინც საფიქრებელი არაა, რომ მთავრობა სამსახურიდან გადადგეს.

მთავრობის გაზეთები ხმას არ იღებენ ამ ამბავზე.

✡ იმავე გაზეთს სწერენ ლონდონიდან: კუნძულ მალტის მცხოვრებლები დიდ პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ კუნძულზე იტალიური ენის მაგივრად, ინგლისური ენა გახადეს სახელმწიფო ე-ად. მალტელებმა მრავალ კრებაზე დაადგინეს, სასკოლო გადასახადს ნუღარ გადვიხდითო.

✡ მართალია, ბევრს უსამართლობას სჩადის ინგლისის ერი, ბევრს ცოდვას იდებს, მაგრამ აგთან ბევრი კარგიც სჭირს, ცოდვასთან ბევრი მადლიც აქვს. ცოდვასაც და მადლსაც უფრო დიდი ასპარეზი, ფართო და გაშლილი მოედანი აქვს ამ ქვეყანაში. დიდი უსამართლობაა სამხრეთ-აფრიკის ომი, ბურების გაქრობა და გაწყვეტა, საზოგადოდ ცუდ პოლიტიკას ადგას ეხლანდელი მთავრობა, მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ეს ომიცა და ეს პოლიტიკაც არსად არ იყო ისე მკაცრად დაგმობილი, როგორც თითონ ინგლისში. ჩვენ ბევრი ცნობა გვქონია მოყვანილი ამის თაობაზე და აი კიდევ ერთი ცნობა ინგლისელების კაცური კაცობისა და ღვთისნიერობის დასამტკიცებლად:

გაზეთები იუწყებიან, კიტჩენერის ახალმა პროკლამაციამ ბურებთან თვით ინგლისშივე დიდ-ძალი პროტესტი გამოიწვია. გაზ. «ლოიდ»-ში მარკიზ კვინსბერტიმ ამნაირი პროტესტი გამოაცხადა.

მარკიზი ამბობს: «როგორც შოტლანდიაში, ისე ინგლისში ბევრს ხალხს ვიცნობ და ახლა აცხადებ ამ ხალხის სახელით, რომ ლორდ კიტჩენერის პროკლამაციამ, სწორედ შიშის-ზარი დაგვცა და ჩვენი მთავრობა შეგვაზიზღა და შეგვაძულა. ეს პროკლამაცია, ჩემის აზრით, მართლიერობასა და სიმართლეს აშკარად ეწინააღმდეგება და მარტო იმ სარგებლობას მოიტანს, რომ სხვა ერები სადუღამოთ შეიძულებენ ინგლისს. ლორდ კიტჩენერის პროკლამაცია ჩვენი მრავალი კოლონისტის სიყვარულს დაგვიკარგავს, რადგანაც ამ კოლონისტებს მშვენივრად ესმით, ვის მხარესაა კანონიერება და სიმართლე».

საფრანგეთი. ჩვენ ვიცით, რომ მთავრობა ასსოციაციების კანონის განსამარტებლად წესდებას ადგენს. გაზ. «მატენა»-ს დაწვრილებით გაუგია, თუ რა შინაარსისაა ეს წესდება. გაზეთი ამტკიცებს, თუმცა ბევრი სულ სხვას ამბობდა, მაინც ამ წესდებაში არც ახალი სასტიკი წესებია მიღებული, არც თუ კანონის სასტიკი მუხლებია შესუსტებული. წესდება სულაც უფერული და უმნიშვნელო იქნებოდა, რომ ერთი საყურადღებო დადგენილება არ იყოს შიგ ჩართული. ეს დადგენილება თვით კათოლიკე სამღვდელოებაში ბევრს თუ ააშფოთებს, სამაგიეროდ ბევრს აღტაცებაში მოიყვანსო: წესდების ძალით, კონგრეგაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში დართავენ ნებას საფრანგეთში დარჩეს, თუ ეპარქიის უფროსი ეპისკოპოსის ნებას სავსებით დაემორჩილება, ამ ხერხით მთავრობას სწადიან მთელი საფრანგეთის სამღვდელოება ადგილობრივ სამღვდელოების უფროსებს დაუმორჩილოს. წესდების ძალით, ბერების კრებულები, მაგალითად, იეზუიტები, დომინიკელები და სხვა მარტო პაპის კი არა, ეპარქიის უფროსს ეპისკოპოსსაც უნდა ემორჩილებოდნენ; ვინიცობაა საჩივარი ექნებათ რამე, უნდა ეპისკოპოსსაც მიჰმართონ და არა მარტო ბერების კრებულის უფროსს; ეს უფროსები უმეტეს ნაწილად სულ უცხოელები არიან. ამ რიგად ეპისკოპოსი თავის ეპარქიის სრული პატრონი ხდება და ამიტომაც ყოველ საქმეში, რაც კი მის ეპარქიაში მოხდება, პასუხიც თითონვე უნდა აგოს. ეჭვი არაა, საფრანგეთის სამღვდელოება მოიწონებს სახელმწიფო საბჭოს ამ ნაირ დადგენილებას, მაგრამ ისიც ნამდვილია, რომ ბერების საზოგადოებანი კი დიდის სიხარულით არ მიეგებებიან ამ დადგენილებას.

ავსტრ უნგრეთი. ხუთმეტი წელიწადია, რაც ბოჰემიის გერმანელები და მათი მეთაურები ცდილობენ ბოჰემიაში ჩეხებთან მორიგდნენ და მოთავსდნენ, მაგრამ ეხლა გერმანელი ნაციონალისტები მეტად ეწინააღმდეგებიან წინანდელ გერმანელ მამარცხნეთ და რადგანაც ამ ბოლოს დროს ნაციონალისტები მეტად გაძლიერდნენ, ამიტომ ეხლა გერმანელებსა და ჩეხებს შუა მორიგება ისევ დიდი ხნით გადაიდება. ნაციონალისტები წინააღმდეგები არიან, რომ ბოჰემიის შუა-გულ ოლქში ჩეხურ ენას სახელმწიფო უფლება მიეცეს. ნაციონალისტები იმ ნაირად სჯიან, თითქო ბოჰემია რომელიმე პანგერმანისტულ სახელმწიფოს ნაწილს შეადგენდეს და თხოულობენ, ბოჰემიაში და ყველგან ავსტრიაში გერმანული ენა უნდა იყოს მიღებული სახელმწიფო ენადაო. გერმანელი გაზეთები შიშობენ, ვაი თუ ნაციონალისტები ამისთანა ოცნებამ გაიტაცოს და ამ ოცნებამ გერმანელებს ბოჰემიის ის ნაწილებიც დაუკარგოს, სადაც ეხლა გერმანული ენაა გავრცელებულიო. ამ ოლქებში ჩეხებიც სცხოვრობენ და ესენიც ამტკიცებენ, ბოჰემიის გაყოფა შეუძლებელიაო. ყოველგან მთელ ბოჰემიაში ჩეხურ ენას თანასწორი უფლება უნდა ჰქონდეს გერმანულთანაო. ამიტომ ჰფიქრობენ, რომ გერმანელები და ჩეხები მალე ვერ მორიგდებიანო.

იტალია. «ტან»-ს სწერენ რომიდან: «გუშინ დამ კრებაზე გადაეწყვიტათ და დღეს დილით რომის ყველა ტრამვაის მოსამსახურეებმა საყოველთაო გაფიცვა მოახდინეს. შიშობენ, ამისთანავე გაფიცვა ნეაპოლში და მილანშიაც არ დაიწყოსო. თუმცა გაფიცვა მოახდინეს, მაინც რომში რამდენიმე ელექტრონული ტრამვაი ჰმუშაობს; ვაგონები პოლიციელებს დაჰყავთ.

შეერთებული შტატები. ფოლადის ქარხნებში გამართული გაფიცვა უფრო და უფრო ძლიერდება. ამ დღეებში ამერიკელი მუშების მძლავრი ფედერაციის პრეზიდენტი გომპერსი შეფერს მოელაპარაკა და მოლაპარაკების შემდეგ გამოაცხადა, მუშების ფედერაცია გაფიცულ ტრედ-უნიონს ნამდვილ დახმარებას გაუწევს როგორც ფულით, ისე ზნეობითაც და თუ საჭირო იქნება, სულაც მიემხრობა და თითონაც გაფიცვას მოახდენსო.

სამხრეთ-აფრიკა. გაზეთები იუწყებიან: ბურები ბოლოს დროს მეტად გამხნევდნენ, მოსვენებას არსად აძლევენ ინგლისელებსაო. ბევრგან დაეცნენ ინგლისელ ჯარებს და ბევრგან დაამარცხეს კიდეც. მატარებლების დაყენებასა და რელსებიდან გადაგდებას ხომ თვალი არა აქვსო. კრონშტადტთან ახლო ბურებს საფოსტო მატარებელი დაუჭერიათ და რამდენიმე ასი ათასი გირვ. სტ. (რამდენიმე მილ. მან.) ჩაუგდიათ ხელში. მაგრამ ყველაზე დიდად კი დევეტს გაუმარჯვნია. ნატალში შეჭრილა და ქალ. პიტერმარიცბურგი აუღია, რაც ამ ქალაქში სურსათი და სამხედრო მასალა ყოფილა, სულ ბურებს წაუღიათ,—ახლა ძლივს გაიგეს ინგლისელებმა, თუ სადაა დევეტი.

ახალი ამბავი

✦ 11 აგვისტოს, კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზე მიდის მცხეთაში, რათა მიეგებოს მის უმაღლესობას დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს, რომელიც ალექსანდროპოლში მიბრძანდება ჯარების დასათვალიერებლად.

✦ პეტერბურგელი გაზეთები იტყობინებიან, რომ საერო განათლების სამინისტროსთან დაარსდება განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ლონისძიებანი არა რუსთა შორის რუსულ წერა კითხვის გასავრცელებლად.

✦ გორის მაზრის, სოფ. კავთისხევის მცხოვრებთ, როგორც გვითხრეს, თხოვნა აღუძრავთ ამიერ-კავკასიის რკინის გზების მმართველობის წინაშე, რომ კავთისხევში გააჩერონ ხოლმე სამგზავრო მატარებლები მგზავრების მისაღებად და ჩამოსასხმელად.

✦ 6 აგვისტოს ტფილისში ჩამოვიდნენ ალექსანდრიის ინსტიტუტის პროფესორი ფონ ბრანკე და მისი ასისტენტი ბ. ქურდიანი, რომელნიც დღეს კახეთში მიდიან ტყეების დასათვალიერებლად. მათი განზრახვაა—აღწერონ ტყის დამაზიანებელი ჭია-მატლები, რომელიც ბოლო წლებში მეტად ბევრი მოედო ჩვენში ტყეებს.

✦ „ტორგოვო-პრომიშლ. გაზეთს“ სწერენ ამერიკიდან, რომ წელს საშინელის გვალვის გამო ამერიკაში მეტად ცუდი მოსავალია სიმინდისა. ეს გარემოება უთუოდ გააძვირებს სიმინდს ევროპის ბაზრებზე.

✦ კახეთიდან გვწერენ, რომ წელს იქ პურის მოსავალი ცუდია, სიმინდის—გვარიანი; ვაზი ბევრგან გაფუჭდა სხვა და სხვა სენისაგანო.

✦ გზათა მინისტრმა ერევნის რკინის გზის ამშენებელს შეატყობინა, ხსენებული რკინის გზის გაკეთება უსათუოდ მომავალი წლის 1 ივლისისათვის უნდა დამთავრდესო; ამ გზით მიმოსვლაც მომავალი წლის 1 ივლისს უნდა გაიხსნასო.

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინად ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა მისწერა გამოფენის გამგე კომიტეტს, რკინისგზის სამმართველო კავკასიის გამოფენაში მონაწილეობას არ მიიღებსო. ამის გამო გამოფენის კომისარმა თავ. ანდრონიკაშვილმა დეპეშით მიჰმართა გზათა მინისტრს და განუცხადა, რომ კარგი იქნება ამიერ კავკასიის რკინის გზათა სამართველომაც მიიღოს მონაწილეობა კავკასიის გამოფენაში და ამით შეძლება მიეცეს მნახველს გაითვალისწინოს, თუ რამდენი წარმატება დაეტყო რკინის გზას კავკასიაში წარსულ საუკუნის ბოლო ხანებშიო.

✦ ამ დღეებში კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის კომიტეტმა გაუგზავნა რუსეთის სატახტო და საგუბერნიო ქალაქების პოლიცმეისტრებს განცხადებები კავკასიის გამოფენის შესახებ; ესევე განცხადებები გაიგზავნა ამიერ კავკასიის ქალაქებშიაც.

✦ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი სწერს გამოფენის კომისარს, რომ, იმ სკოლებს გარდა, რომელნიც თავისთავად მონაწილეობას ღებულობენ გამოფენაში ექსპონატების გამოგზავნით, დირექციისაგან დამატებით წარმოდგენილი იქნება სხვა-და-სხვა ექსპონატები მოსწავლეთა ნაწარმოები, მათის ცხოვრების სხვა-და-სხვა ფოტოგრაფიული სურათები, სკოლების გეგმები, წერილი იმის შესახებ, თუ როგორ წარმატებაში შევიდა ქუთაისის გუბერნიაში სახალხო განათლება და სხვ.

✦ ქუთაისიდგან გვწერენ: „5 აგვისტოს ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის უგანათ. თავ. ალექსანდრე ვიტგენშტეინის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრო მრავალი ხალხი. ალექსანდრე ვიტგენშტეინი იყო ჩვენებური ქალის (დადიანის) შვილი, დაბადებული და აღზრდილი ჩვენში და გრძნობით ქართველი. განსვენებული ჯერ კიდევ ყმაწვილი კაცი იყო ასე 33—35 წლისა. ამ დღეებში შემთხვევით ლაპარაკი მოსვლია ვიღაც სამსახურიდგან გამოსულ მოხელესთან, გვარად მაქსიმოვთან, რის შემდეგაც დუელი მომხდარა; მაქსიმოვს დამბაჩით მუცელში დაუჭრია ვიტგენშტეინი, რომელიც, მიუხედავად დიდი მოვლა-ყურადღებისა, რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა.“

✦ ლ. სამტრედიიდან გვწერენ: „6 აგვისტოს, ღამის 12 საათზე სამტრედიელები გამოაღვიძა ლოკომოტივების შემზარავმა ღმუილმა და გამოღვიძებისთანავე დაინახეს საშინელი ცეცხლის ალი, რომელიც მოსდებოდა ადგილობრივ ვაჭრის გრიგოლიას დუქნებს. სულ მოკლე ხანში გადაიბუგა ოთხი დუქანი, სადაც სულ წვრილ ხელოსნებს ჰქონდათ გამართული თავიანთი სახელოსნოები. კიდევ ბედი, რომ ამ ღამეს ქარი არ ჰქროდა, თორემ მთელ სამტრედიას დიდი საფრთხე მოელოდა. საკვირველია, რომ სამტრედიელებს, რომელთაც არა ერთხელ სწვევიათ ეგრეთი და უარესი უბედურება, ამდენს ხანს ვერ შეუძენიათ ცეცხლის მქრობელი იარაღები. გრიგოლიას თავისი დუქნები დაზღვეული ჰქონია“.

✦ ყარადაშიდან (ყაზახის მაზრა) გვატყობინებენ: ადმინისტრაციის განკარგულებით, 4 აქაური გლეხკაცი დაატუსაღეს. ამ გლეხკაცებს გლეხი ქალების გაუპატიურება ჰბრალდებათ. აი რა საქმეზე დაუჭერიათ: 5 აგვისტოს ერთი კაცის სახლში შეცვივნულიყვნენ,—სახლის პატრონი მთაში, საქონელთან ყოფილა,—მისი ცოლისთვის ნამუსი აეხადათ და ეწვალებინათ. ოთხივე დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს.

✦ გუმბრიდან გვწერენ: „6 აგვისტოს სამხედრო მოედანზე ცხენოსან ოფიცრების ცხენების დოღი გაიმართა. დოღში 32 ოფიცერმა მიიღო მონაწილეობა. ჯილდოთ დანიშნული იყო 3 პირველი ხარისხის ჯილდო, თითო 700 მან, 3 მეორე ხარისხისა, თითო 300 მან. და 3—მესამე ხარისხისა, თითო 150 მან. დოღში დრაგუნის ოფიცრებმა გაიმარჯვეს; პირველი ხარისხის ჯილდო ნიჟეგოროდისა და ტვერსკოი დრაგუნის პოლკების ოფიცრებმა აიღეს. სხვათა შორის, პირველი ხარისხის ჯილდო ნიჟეგოროდის პოლკის ოფიცერმა თავ. ჭავჭავაძემ მიიღო“.

✦ მანგლისიდან გვწერენ, რომ იქ კვირა ღამეს შემდეგი უბედურება დატრიალებულა: რამდენიმე ჯარის-კაცი სანადიროდ წასულა; ერთ უნტერ-ოფიცერს, ობრაზცოვს, თოფის წმენდა დაუწყია და უცაბედათ თოფი გავარდნილა და ერთი ჯარის-კაცი იქვე მოუკლავს.

✦ ქალაქის კომისიამ ცეცხლის მქრობი რაზმის თაობაზე მოხსენება შეადგინა და ეს მოხსენება საფინანსო კომისიას გადასცა განსახილველად. საფინანსო კომისიამ ცეცხლის მქრობი რაზმის შესანახად საშუალება უნდა აღმოაჩინოს. კომისიას, სხვათა შორის, პროექტი შეუდგენია, უმთავრესი ცეცხლის მქრობი რაზმის გარდა, ქალაქის განაპირა უბანშიაც პატარა რაზმი უნდა ვიყოლიოთო.

✦ 4 ენკენისთვეს ქალაქის საბჭოს წარუდგენენ მოხსენებას იმის თაობაზე, რომ საჭიროა ქალაქმა 162,000 მან. ისესხოს და რამდენიმე საქალაქო დაწესებულებისათვის და ცეცხლის მქრობ რაზმისათვის საკუთარი სადგომი აშენოს.

✦ პირუტყვთა მფარველ ტფილისის საზოგადოების გამგეობამ სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ დაუთმოს მას ქალაქის ერთი ნაჭერი ადგილი ველიამინოვის ქუჩაზე პირუტყვთა საავადმყოფოს აშენებისათვის.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზების მმართველობამ გადასდო საჭირო კრედიტი ტფილისის სადგურის შესაკეთებლად და საქონლის სადგურის გადამწვარ განყოფილების ასადგენად. მუშაობა შენობების დაწვის მეორე დღესვე დაიწყეს, ასე რომ ახლა სადგურის აღდგენა თითქმის დამთავრებულია.

✦ სატყეო კორპუსის ინსპექტორმა, რაუერმა, წარუდგინა მიწად-მოქმედების სამინისტროს პროექტი, თუ როგორ უნდა იქმნას გამაგრებული და უზრუნველ-ყოფილი თელავის მაზრაში სოფლები მთის ნიაღვრებისაგან. მისის პროექტით, ამ მთებზე უნდა გაშენდეს ტყე, რაც რამდენისამე წლის

განმავლობაში მოითხოვს ყოველ-წლიურ ხარჯს—7000 მანათს. გარდა ამისა, რაუერი აცხადებს, რომ საჭიროა თელავის მაზრაში ახალი გზების გაყვანა და ძველების შეკეთებაო.

✦ გუშინ ტფილისის საქალაქო სამეურნეო-სავაჭრო პოლიციის უფროსმა ზედამხედველმა, ბ-ნმა ალიხანოვმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას ვრცელი მოხსენება ქალაქის შუაგულში **ხორცით სავაჭრო დუქნების** დაარსების შესახებ.

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ მოკლე ხანში ტფილისში ჩამოვა ცნობილი **ჰიპნოტიზერი ფელდმანი**, რომელიც რამდენიმე სეანსს გამართავს საჯაროთ ექიმთა წინაშე.

✦ 6 აგვისტოს დამზღვევ საზოგადოების „როსსია“-ს ტფილისის აგენტის მეკანტორემ, პუდელმა, განაცხადა პოლიციაში, რომ მას კანტორის შკაფიდან მოჰპარეს 400 მანეთი, ხსენებული საზოგადოების ფული. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ოთახის კარები და ფანჯრები არავის გაუტეხია და არც გაუღია. ეჭვი აიღეს თვით პუდელზე და ის მართლაც გამოტყდა: ფული მე წავიღე და გადავეცი სამ უცნობ კაცს, რომლებმაც გამაბრიყვეს—ყალბი 100 მანეთიანები ვაკეთოთო.

✦ გუმბრიდან გვატყობინებენ: ამ დღეებში აქ **ორი** უბედურება მოხდა: ვინმე ოფიცერი როდიონოვი სანადიროდ აპირებდა წასვლას და ამიტომ თოფსა და პატრონებს იმზადებდა; უცაბედად თოფი გავარდნოდა და მარცხენა ხელის ორი თითი დაჰშავებოდა.

ყმაწვილებს კროკეტი ეთამაშნათ; თამაშობის დროს ერთ კადეტს ტფ 1 გიმნაზიის მოწაფე ქალისათვის თავში ჯოხი მოეხვედრებინა. ისე მაგრად მოეხვედრებინა, რომ თავის სარქველი და ქალა დაეშავებინა. ქალი ლოგინათ ჩავარდა, ექიმი სწამლობს.

✦ კავკასიის **წყლების სამმართველო** ახალ სადგომში გადადის; სახელდობრ—ასტასიევის ქუჩაზე, პოლიციის 1-ლ ნაწილში.

✦ სოფ. საქილაოდან (ქუთაისის მაზრა) გვწერენ: „6 აგვისტოს, ფერისცვალება დღეს, აქ ერთი უბედურება დატრიალდა. ჯარში (თემობა) რაღაც მიზეზის გამო ლაპარაკი მოსვლიათ სოფლის მამასახლის ნოდიას და ადგილობრივს ახალგაზდა აზნაურს იასონ კორძაიას. მამასახლისს მოუნდომებია კორძაიას დაჭერა და, როცა ეს უკანასკნელი მას არ დამორჩილებია, მამასახლისის ბრძანებით, მისთვის თოფი უსვრია „სტრაჟნიკს“ და იქვე მოუკლავს. ამბობენ, მამასახლისსა და ამ კორძაიას შუა ძველი უსიამოვნება ყოფილა“.

✦ ყარაიაზიდან გვწერენ, რომ ამ დღეებში იქ, გლებოვის ბაღის ახლო, მტკვარში უპოვნიათ იმ **მეჭედიშვილის** გვამი, რომელიც ამას წინად წავიდა ტფილისიდან და უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

✦ გუმბრი: 5 აგვისტოს, ნაშუადღევის 2 საათზე, მემანქანის თანაშემწემ ი. კონსტანიცკიმ, რომელსაც სადგურის უფროსმა ნება არ მისცა მატარებელ № 134 გაჰყოლოდა (მთვრალი იყო), დანით დასჭრა დეპოს ზეინკალი გუსტავ შიპე.

✦ ტფილისის პოლიციის მე-10 ნაწილის ბოქაულმა მისწერა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას შეკეთებულ იქმნეს **მუშტაიდის ქუჩის მოსახვევი**, რადგანაც მეტად ცუდ მდგომარეობაშია ამ ჟამად.

✦ ხაშური. 3 აგვისტოს მე-199 ვერსზედ მდინარე ძამს ამაგრებდნენ ქვებით. ამისათვის ხარებით ქვას ეზიდებოდა სხვათა შორის კარპ კალანდაძეც (შორაპნის მაზრიდან), მუშაობის დროს მარცხენა ფეხი გაებლართა თოკში და მოსტყდა. ინჟინერ-ს მუატს უნდოდა ტფილისის რკინის გზას საავადმყოფოში გაეგზავნა, მაგრამ ნათესავებმა არ დაანებეს და სოფელში წაიყვანეს.

✦ ბათუმი. 5 აგვისტოს, ნაშუადღევის 1 საათზე, მანევრების დროს, ბესირე ჩხიკვაძეს, რომელიც ვაგონებს აბამდა ერთმანეთზე, ვაგონმა მარჯვენა ხელი გაუჭყლიტა.

✦ პოლიციის მე-5 ნაწილში, პოლიციის მოხელემ გაბილაიამ შეიპყრო დუშეთის მაზრის სოფ. რომის ხევის მცხოვრები დავით შიოს ძე ხითაშვილი, რომელსაც ახმეტ-ოღლის მე-8 ნაწილში 325 მან. მოპარვა ედება ბრალად; ხითაშვილი პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

✦ პოლიციის მე-7 ნაწილში, ეტაპის ქუჩაზე მცხოვრებმა ევდოკია კარლიეკოვმა განაცხადა პოლიციაში, რომ სენაკის მაზრის სოფელ სეფიეთის მცხოვრებმა მიხეილ ივანეს ძე თოფურიძემ მოჰპარა მას სხვა-და-სხვა ოქროს ნივთები 300 მან. ღირებულობისა და სადღაც დაიმალა.

✦ პოლიციის მე-6 ნაწილში, 4 აგვისტოს სუჯბათაშვილის ქუჩაზე, სიმთვრალის დროს ტფილისის მოქალაქემ დარჩო პაპანოვმა უცაბედად თავისი რევოლვერი მუცელში დაიცა და მძიმედ დაიჭრა; დაშავებული მიხეილის სამკურნალოში იქმნა გაგზავნილი.

✦ პოლიციის მე-8 ნაწილში, რაჭის მაზრის მცხოვრებმა მელიტონ ლანდიამ განაცხადა, რომ 3 აგვისტოს, ვიღაც ბოროტ-განმზრახველს მორგებულის გასაღებით გაუღია მისი სახლი და მოუპარავს 79 მ 65 კაპ. ეჭვი არავიზე არა აქვთ. ქურდის აღმოსაჩენად საშუალება იქმნა მიღებული.

✦ სურფ-სარქისის ქუჩაზე, 5 აგვისტოს, ტფილისის მოქალაქის შვილი რუბენ კაკოიანი 15 წ. მიდიოდა თურმე ცხენით და დაეჯახა გზაში ოჰანეს სარქისოვს, რომელსაც ცხენმა თავი გაუტეხა. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში იქმნა გაგზავნილი.

✦ პოლიციის მე-5 ნაწილში, 4 აგვისტოს, ღამის 11 საათზე, პოლიციელმა ხალხის დახმარებით შეიპყრო ქურდები მირზა-ალი და ჰუსეინ-ხალილ-ოღლი, რომელთაც ტოფჩიბაშევისათვის მოეპარათ ოქროს საათი ძეწკვით; დამნაშავენი გადაეცნენ გამომძიებელს; საათი უკანვე დაუბრუნეს პატრონს.

✦ 6 აგვისტოს, სოლოლაკში, კერძო პანსიონის პატრონის ტერ-აკოფოვის სადგომიდან სხვა-და-სხვა ნივთები და ხალიჩები მოუპარავთ.

ცილის-მწამებელთ

უკანასკნელ დროს ვიღაც ცილის-მწამებელნი, როგორც გადმოგვცეს, დადიან ქუჩა-ქუჩად და ავრცელებენ საზიზღარ ჭორებს ჩვენი რედაქციის წევრების შესახებ. რა ვუთხრათ ამ სულით მდაბალთ და გონებით ბნელ ვაჟ-ბატონებს, რომელთაც იმდენი რიგიანობაც არა აქვთ, იმდენად სინიდისს მოკლებულნი ყოფილან, რომ არავითარ საშუალებას არ ერიდებიან ოღონდ, ადამიანს ჩირქი წასცხონ?! რა ვუთხრათ იმ შუბლგატეხილ ცილის-მწამებელთ, რომელთაც არ ესმით, რომ ისეთის საზიზღარის ბრალდების დადებისა და გავრცელებისათვის საჭიროა უტყუარი საბუთები ჰქონდესთ ხელში და არა ჭორები და თავის ავადმყოფ ფანტაზიით შეთხზული ფაქტები?! რა ვუთხრათ იმ უბადრუკ მეჭორეთ, რომელთაც ადვილად, სინიდისის შეუწუხებლად, შეუძლიათ ყოველგვარ სისაძაგლის შეთხზვა?! რა ვუთხრათ იმის მეტი, რომ „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“. სულით მდაბალ და გონებით ბნელ ცილის-მწამებელთ სხვა რა აბადიათ, სხვა რა უდევთ გულში, თუ არა სისაძაგლე?! როგორც თვითონ ადვილად შეუძლიათ მოყვასის შეურაცხყოფა, დაბეზღება, გალანძღვა, ჩაქოლვა, ისე სხვებზედაც ჰფიქრობენ. მათ სინიდისი არ დაუშლის დაბეზღებას და მაშ როგორ წარმოიდგენენ, რომ სხვებს, ცოტათი რიგიანთ, კაცის მოკვლა უფრო ადვილად მიაჩნიათ, ვიდრე ასეთის საზიზღრობის ჩადენა, თუნდაც თავის მტრის საწინააღმდეგოდ?!

ჩვენდა გასაოცრად, იმასაც ამბობენ, ვითომც მეჭორეთა რიცხვში ისეთებიც არიან, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ პრესსასთან, სახელდობრ ერთ-ერთ ქართულ გაზეთთან. ჩვენ არ გვჯერა ეს და იმედიც გვაქვს, რომ ის გაზეთი დაჰგმობს ცილისმწამებელთ და ამით თავიდან აიშორებს გაზეთის შემბღალავ ბრალდებას.

მერე, ვინ უნდა დააჯერონ ამ სულმდაბალმა ცილის მწამებლებმა?!. ნუ თუ ჰგონიათ, რომ რომელმამე ცოტათი მაინც რიგიანმა და არა ფუქსავატმა ადამიანმა ისმინოს მათი სიტყვ ?!. თუ იმდენათ გაკადნიერდენ, რომ არავითარი პატივისცემა აღარ აქვთ საზოგადოებისა; სრულიად აღარ სწამთ მისი რიგიანობა და ჰგონიათ, რომ ყოველივე საზიზღრობას ადვილად დააჯერებენ მას?!. ჩვენ არ გვინდოდა ყურადღება მიგვექცია ცილისმწამებელთათვის, მაგრამ რამდენიმე გარეშე პირმა პირადათ და წერილობითაც მოგვთხოვა აღნიშვნა ხსენებულ საზიზღრობისა. ჩვენც შეგვაქვს ეს ყოვლად უმსგავსო ფაქტი ჩვენის საცოდავის, ისედაც დაბეჩავებულის საზოგადო ცხოვრების მატიანეში. უმზგავსსა და უსინდისო მეჭორეთ-კი გზას ვულოცავთ: იჭორიკანონ, ავრცელონ ცილი რამდენიც ჰსურდეთ: ამით ისინი მხოლოდ თავის სულმდაბლობას დაამტკიცებენ, ჩვენ-კი ენერგიას ვერ შეგვიმცირებენ და საზოგადო საქმის სამსახურს განვაგრძობთ ისევ გულწრფელათ და მხნედ, რამდენადაც შეგვიძლია.

პრესსა

„ივერიაში“ (№ 168) წავიკითხეთ ფრიად საყურადღებო წერილი საკულუხო უფლების შესახებ. „კულუხი“, როგორც მკითხველს მოეხსენება, ის გადასახადია, რომელსაც საეკკლესიო გლეხი ეკკლესია მონასტერს აძლევდა ყოველ წლივ.

ეხლა საეკკლესიო მამულები ხაზინას გადაეცა და საეკკლესიო გლეხებიც სახაზინო გლეხებად გახადეს. ამიტომ საქართველოს ეკკლესიის უფლებანიც ხაზინამ მიითვისა. აქედან გაჩნდა „საკულუხო“ უფლება.

მხოლოდ გლეხს ნება ჰქონდა განთავისუფლებულიყო ამ ხარჯისაგან. მან უნდა შეეტანოს ხაზინაში იმდენი ფული, რომლის სარგებელი წლიურ გარდასახადს უნდა უდრიდეს. თუ ხარჯი ერთი მანეთი აქვს გლეხს, შეაქვს 20 მან., რადგან 20 მანეთს შემოაქვს 1 მანეთი.

„ახლა, როგორც ისმის,—ამბობს „ივერია“,—მიწად მოქმედების სამინისტროს განუზრახავს ფასები მოუმატოს, ესე იგი კულუხის ფასი ასწიოს. ვინც წელიწადში მანეთს იხდიდა, იმას ალბად ორი მანეთი გარდახდება. ძველებური, ქართული ჩვეულების მიხედვით რომ ვიგულისხმოთ, გამოვა, რომ კულუხის რაოდენობა ორკეცდება. თუ წინად, ვსთქვათ, გლეხი ერთს მეშვიდედს იხდიდა, დღეს კულუხი ვენახის ერთიან შემოსავლის 3½-ს გაუთანასწორდება“.

„ასეთი განზრახვა სამინისტროსი ჩვენ ადრეულათა და ჩვენის გლეხის ნივთიერ ვითარების შეუფერებლად მიგვაჩნია. ჯერ ერთი, ვენახის გაშენებაში სამინისტროს მონაწილეობა არ მიუღია, ხარჯი არ გაუწევია (ბატონი გლეხს ვენახის გაშენებაში ხელს უწყობდა) და თუ გლეხმა ცოტათი ვენახი გააუკეთესა, ეს მარტო იმისი უნარია და ამ უნარის გამოჩენისათვის მშრომელის დატვირთვა ვერაფერი ამბავია; მეორე კიდევ ისაა, რომ დღევანდელი ჩვენი მევენახეობა დაეცა, ათასმა სნეულებამ ვენახი ამოაგდო, მაშასადამე, ხარჯის გარდასახადის გაორკეცება დრო და ჟამის შეუფერებელია. მესამე ისაა, რომ წელს ჩვენებურს გლეხს ახალი დიდი გადასახადი დაედო და ასე უცბად, როცა ერთი ახალი ხარჯი ვერ მოუნელებია და ვერ შესჩვევია, მეორე ხარჯის დაკისრება მშრომელს კაცს სულ გაათახსირებს“.

თქმა არ უნდა, რომ ეს გარემოება შეაფერხებს „კულუხის უფლების“ დარღვევას და გლეხების ამ «ხარჯიდან» განთავისუფლებას.

მარგანეცის მრეწველობის გამოღვიძება

(წერილი ჭიათურიდან)

ჭიათურის მრეწველობის ძილს, მგონი, ბოლო მოეღოს რამდენიმე წლით მაინც. ბერლინის კაპიტალისტთა სინდიკატმა არონ გირშის მეთაურობით საქმე გაათავა აქაურ მრეწველებთან, რომლის წარმომადგენელია ბ. დ. ბაქრაძე. რომ არ შევეხოთ სხვა მხარეებს პირობისას, ისიც საკმარისია, რომ გირშის სინდიკატი პირობას აძლევა 10 წლის განმავლობაში ოც მილიონ ფუთზე მეტი შავი ქვა გაასაღოს, რაიცა ათის წლით სპობს იმ უცნაურ საღათას ძილს, რომელიც ხშირად ეწვეოდა ხოლმე ჭიათურის მარგანეცის წარმოებას. რამდენად სასარგებლო გამოდგება არონ გირშთან საქმის დაჭერა, ამას მომავალი გვაჩვენებს, ხოლო ეს კია, რომ ეს სარგებლობა იმაზე არის დამოკიდებული, რამდენად რიგიანად მოეკიდება ჩვენი მწარმოებლები საქმეს. უნდა აღვიაროთ, რომ სრულიადაც არა გვაქვს „კომერციული“ აღზრდა და გაწრთვნა. დიდის ვაჭრობის უნარად ის არის ჩვენში მიჩნეული, რომ კარგათ უნდა იცოდე მოტყუება, მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხი აბია ხოლმე და ეს მოკლე ფეხობია თვით აწვება კისერზე დიდის სისასტიკით ჩვენს საქმეს და ტყუილის მომქმედს: ქვის მაგიერ მკვდარ ცხენებს ასაღებენ ხოლმე და მარგანეცის მაგიერ სილას. რა თქმა უნდა, მკვდარ ცხენში ორასისა და სამასი მანეთის მოგება კარგია და საოცარი მოგებაა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მკვდარის ცხენის გამსაღებელისგან ოქროსაც აღარავინ ღებულობს და თვითვე ზარალობს ყველაზე მეტად.

მაინც ეტყობა, რომ კრიზისს, რომელმაც წელში გასწყვიტა აქაური ხალხი, ბოლო ეღება, რადგან აქედან თუ იქიდან ჩამოდიან კაპიტალისტების წარმომადგენელნი და სურთ მარგანეცის საქმე დაიწყონ.

მარგანეცის მრეწველობას დიდი მნიშვნელობა აქვს და ექნება ჩვენის ქვეყნისათვის, მაგრამ, საუბედუროდ, ამ უვნებელ საქმესაც წინ ეღობება ისეთი გარემოებები, რომელნიც მეტად აფერხებენ საქმის რიგიანად წარმართვას.

მარგანეცის გადატანა ჯდება აუარებელ ფასად (ფუთამდის თითქმის 11 კაპ); არ არის საკმაო ვაგონები, არ არის ხეირიანად მოწყობილი საწყობები, მის მაგიერად, რომ ვაჭრულ საქმეში რაც შეიძლება გაადვილებული იყოს და გაჩქარებული საქმე, ყოველივეს კანცელარიის „ვოლოკიტის“ ფერი სდევს და ამა თუ იმ „განმკარგულებელის“ პირადს განწყობილებაზე არის ყოვლიფერი დამოკიდებული.

ბრაზილიის მარგანეცი, მართალია, საშიშარ კონკურენციას უწევს ჩვენს მარგანეცს, მაგრამ ეს შიში ამისაგან კი არ მოგველის, ვითომ ბრაზილიის მარგანეცი სჯობდეს ჩვენებურს, არამედ იმისგან, რომ ბრაზილიის მთავრობა ყოველივე ღონეს ხმარობს მრეწველობა წინ წასწიოს, ყოველგვარი მფარველობა აღმოუჩინოს; ამის გამო მარგანეცის მრეწველობა მეტად კარგ პირობაშია ჩაყენებული და მისი გადაზიდვა მეტად იაფია და გაადვილებული.

—ა.

პროვინცია

ქ. თელავი. შაბათს, 4 აგვისტოს, თელავის კლუბის დარბაზში გაიმართა ბავშვებისათვის საღამო ბუნდოვანი სურათებით. საღამოს შინაარსი სამ განყოფილებიდან შესდგებოდა: პირველში აჩვენებდნენ სურათებს კრილოვის იგავ-არაკიდან. ამავე დროს ორი მოსწავლე რასტომაშვილი და სვიმონოვი კითხულობდნენ შესაფერ ლექსებს რუსულად და ქართულად. სურათების ნახვამ «მაიმუნი და სათვალეები», «ყურძენი და მელა», «მაიმუნი და სარკე» და სხ. ბავშვები ასიამოვნა.

მეორე განყოფილებაში წაიკითხეს გოგებაშვილის მოთხ. «იავნანამ რა ჰქმნა» 7 სურათით და «თავდადებული ქართველნი» 8 სურ. ამაებში ბევრი ყმაწვილთათვის უნახავი სურათი აჩვენეს: როგ., გიორგი სააკაძე, თევდორე მღვდელი და თათრები, ხიდის ჩატეხვა მტკვარზე, ქეთოს მოტაცება, მამისაგან დაბრუნება და სხვა.

მესამეში აჩვენეს სხვა და სხვა სურათები. სხვათა შორის, თავად რ. ერისთავისა, თ. ილია ჭავჭავაძისა და მეფე ერეკლე II სა, რომლის ჩვენების დროს წაიკითხეს რამდენიმე ნაწარმოები: «რას შემომღერი მშობლო» და «სამშობლო ხევსურისა» თ. ერისთ. «ქართლის დედა»—ილ. ჭავჭავაძისა და პ. ტარ. გახს—«გლოვა» ყაზბეგისა.

მერე პატარებმა იცეკვეს, დიდების დახმარებით, ილხინეს, იმხიარულეს და გახარებულები დაიშალნენ. თელავის ბავშვობა ხომ მოკლებულია ყოველგვარ გასართობ დროს გატარებას, ამათ არც-კი აქვთ საყმაწვილო სასეირნო ბაღი, სადაც თავისუფლად სეირნობა შეეძლოთ; ამისათვის კარგი იქნება ხშირ-ხშირად იმართებოდეს ხოლმე ასეთი გასართობი საღამო ან დილა, რომ მათაც საშუალება მიეცეს ერთად შეყრისა.

მეორე დღეს, ამავე დარბაზში დიდებისათვის გაიმართა დილა ბუნდოვანი სურათებითვე და გრამმოფონით. წაიკითხეს პოემები აკ. წერეთლისა «თორნიკე ერისთავი» 18 სურათით და ილ. ჭავჭავაძის «დიმიტრი თავდადებული» 13 სურათ.

დასასრულს გრამმოფონს შეასრულებინეს რამდენიმე სიმღერა, რომლებსაც საზოგადოება სიამოვნებით ისმენდა და ტაშის ცემით აჯილდოვებდა.

ამ დილას კარგა ხალხი დაესწრო, თუმცა საღამოთი რომ გაემართათ იგი, უფრო მეტი დაესწრებოდა. საბავშვო საღამოს-კი ცოტანი დაესწრნენ, რადგანაც გვიან იყო.

როგორც წინა საღამოს, ისე მეორე დღესაც არც ერთი ხელოსანი ან დაბალ ხალხთაგანი არავინ დასწრებია მისთვის, რომ მათ არ ეხერხებათ კლუბში სიარული. იმედია, ბ. აჯიმამუდოვი ამათთვისაც გამართავს ასეთ იაფ ფასიან გასართობ დილას, მხოლოდ საზოგადოების თეატრში კი, სადაც უფრო ეხერხებათ სიარული, და ამით საშუალებას მისცემს მათაც ცოტათ თუ ბევრად გაიცნონ სხვა და სხვა მწერლები და მათი ნაწარმოებნი.

დიმიტრაშვილი.

ძველი-გავაზი (სიღნაღის მაზრა). როგორც საქართველოს ყველა კუთხეებში, აქ გავაზშიაც და მის შეერთებულ სოფლებში: ჭიკაანსა და ახალ-გავაზშიაც ძრიელ ნაკლებად არის როგორადაც შემოდგომის მოსავალი, აგრეთვე გაზაფხულისაც, გარდა სიმინდისა, რომელსაც ამ ჟამად არა უჭირს და ბოლოს რას იზამს, ამას მომავალი გვაჩვენებს.

წლევანდელს მოუსავლიანობის უმთავრესს მიზეზად ასახელებენ საშინელს გვალვას და მისგანვე ხელ-შეწყობილს და გამრავლებულ მინდვრის თაგვს. ხალხი ისევე შემოდგომაზედვე ჰხედავდა თავის დამღუპავს მტერს, მაგრამ რას იზამდა, რომ არ მოეხნა და არ დაეთესნა? გუთანს ამოჰქონდა აუარებელი ბუდე თაგვებისა, თვითოეულს ბუდეში სთვლიდნენ 4—6 ბარტყს და ზოგან მეტსაც. შენიშნული არის აგრეთვე, რომ ესენი წლეულ მაინც არის უვნებლად შეილოსნობდნენ და არა ნაკლებ ყოველს ორისთვისა, და ამ ნაირად წელიწადში ექვსჯერ მათი კეთილ-შვილოსნობა რამდენად გაამრავლებს ამ მავნეებს, წარმოსადგენადაც კი საზარელია.

ხვნა-თესვის დროს მეხრეს და გუთნის დედას ათასი რამ აიმედებდა: «ღმერთი არ წაგვახდენს, მაგათ ისეთ ნაცალს უგდებს, რომ ერთმანეთს თითონა სჭამდნენ: ჩვენ მანამდე ჩვენი მინდვრების მფარველს წმინდა ელიას მამლის ზვარაკს დავპირდებით, მივალთ სალოცავად და თან მივიტანთ აგრეთვე ჩვენის ნაშრომიდან თითო ლიტრა სულადს და ისიც შეგვიწყნარებს და ცა და დრუბელს დაუმშვიდებს ჩვენს ნაშრომსაო.»

და აი ამ ნაირად პირველ მარცვლის გადაგდებიდანვე ეს აუარებელი და ურიცხვი ქვეყნის დამცარიელებელი მტერი მოკლე სოფლებს და მწარე დღე დააყენა.

ისინი ამ ჟამადაც საკმარისად არიან და უეჭველია, რომ თუ რამე არა იღონეს რა, ან ხალხმა და ან საქმეში არ ჩაერია სამეურნეო-საზოგადოება და თვით-მთავრობაც, ხალხს დიდი უბედურება მოელის.

ჩვენის აზრით, დღეს ერთ უკეთეს საშუალებად უნდა იყოს მიღებული ბ. ლეფლერის მიერ მოგონილი თაგვთა სახადის ბაცილლები (bacillus gyphi murium). თვით ლეფლერი როგორც პროფესორი და მუშაობაში თანადამსწრე შეგირდი კოხისა, საკმარისად სანდო ადამიანი არის და მისგან გამოგონილი ბაცილლებიც საკმარისად არის ნაცადი. გარდა ამისა თვის სიიაფით და ადვილად ხმარებით ხომ სრულებით შეესაბამება სოფლელთა შეძლებას, რის გამოც რაც დროზე მივმართავთ ბერლინში T. F. Ichwarzluse Seehne პროფესორს, რომელსაც თვით ლეფლერმა მიანდო ბაცილლების მომზადება (ისეთი დიდი მოთხოვნილება იყო, რომ პროფესორი ლეფლერი ვეღარ ასდიოდა) ემჯობინება ეს ბაცილლები თვითოეული ყუთი, რომელშიაც თვლება არა უმეტეს 12 პატარა მინისა ღირს არა უმეტეს 12 მანეთისა და ამისთანა ყუთი კი, ჩვენის აზრით, თვითოეულ სოფელზე დასჭირდება არა უმეტეს 3—4—6. ბაცილლებით დასნოვლილი თაგვები თვითონვე ამზადებენ ახალ ბაცილლებს თავიანთ გვამში, რომელსაც ძალიან ხშირად ხმარობენ საჭმელად სხვა თაგვები და ამნაირად ერთი მკვდარი თაგვი სწამლავს იმდენს სხვას, რამდენიც იგემებს მის ლეშს.

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 3 აგვისტოს.

გაქსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93 95
ბერლინზე 100 მარკაში	46,02$^{1}/_{2}$
პარიზზე 100 ფრანკში	37,30
ლონდონზე ჩეკები	94,65
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,52$^{1}/_{2}$
ბირჟის დისკონტი	5$^{1}/_{2}$—7%
4% სახელმწიფო რენტა	96 მყიდვ.
4$^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	427$^{1}/_{2}$ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	335 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	229$^{1}/_{2}$ მყიდვ.
3$^{1}/_{2}$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4$^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	91 გაყიდ.(?)
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	91$^{1}/_{8}$ „ (?)
4$^{1}/_{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6%, გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო-გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. (9 ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. თვ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, გორონცოვის ქუჩა, სახლის ელიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

ქალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ბზიტახოვისა, ავადმყოფე უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონის, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) გორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
ვერის მოედანზე, ყაფანთან.
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი ნახშირი.
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.

მე-XIII პერიოდი ბუჰგალტერიაში
მაცადინეობისა.
ნ. ვ. აბრამიანი,
„სავაჭრო და საფაბრიკო ბუჰგალტერიის სახელმძღვანელოს“ ავტორი, პრაქტიკულის ვარჯიშობით ასწავლის ბუჰგალტერიას ორივე სქესის პირთ ოთხის თვის განმავლობაში, თავდებობით და, თუ საჭირო იქნება, რეკომენდაციითაც. ასწავლის შემდეგ საგნებს:
1) იტალიური ბუჰგალტერია მრეწველობის ყოველგვარ დარგისა, მათ შორის ნავთის—წარმოებისაც და კეროსინის მრეწველობისაც.
2) კომმერციული არითმეტიკა.
3) კომერციული კორრესპონდენცია.
4) ვაჭრობისა და ვექსილის წესდება.
5) სუფთა-წერა, კალლიგრაფია და ცუდის ხელის გასწორება.
სწავლა დაიწყება 1901 წ. 15 ენკენისთვიდან, ნასადილევს, პერიოდულად ყოველ ოთხ-თვის შემდეგ.
მსურველთ ვთხოვ მომმართონ წერილით ან პირადად: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 48, ყოველ-დღე, საღამოს 4 საათიდან 6-მდე.
ზემოხსენებული სახელმძღვანელო იყიდება 3 მანათად და 50 კაპ. ტფილისში და აგრეთვე რუსეთის წიგნების ცნობილ მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორიდან გამოიწერს, ფასდადებისათვის არაფერს იხდის.
ბუჰგალტერიის კურსის შესწავლის ფასი 60 მანათი. (10—2)

დაარსდა ქალაქ ტფილისში
პირველი
ცინკოგრაფია
წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.
(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. შეიძლება გადაღება ძველი ნაწერების ნიმუშებისა, სიგელებისა და სხვ. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ გადასაღები დედანი ფოსტით გამოგზავნონ. გაკეთებული კლიშე გაეგზავნებათ ფასის ზედ-დადებით. (1000—23)

ქუთაისში, ვ. ბეჟანნეიშვილის მაღაზიაში, იყიდება გაზეთ „ცნობის ფურცლი“-ს ნომრები.
ფასი თითო ნომრისა 3 კაპეიკი.

ახალი წიგნი
სამეგრელოს აღწერა
არქანჯელო ლამბერტისა
იტალიურით ნათარგმნი
ალექსანდრე ჭყონიასი
(სამეგრელოს რუკით)
ფასი 1 მანეთი
დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი და იყიდება მხოლოდ: ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში და ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში—ჭილაძის და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

ტარტიუფი ანუ მუზმუზელა 5 მოქმ. კომედია მოლიერისა, ფასი 50 კ. იყიდება წიგნ. გამომ. ქართ. ამხანაგობის კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქ. ალექსანდროვის ბაღის კუთხეში. (80—14)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის
დეპო
იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე.
ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სდოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ-გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.
დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).
განყოფილება
სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.
განყოფილებას განაგებს ილ. გ. ჩუბინაშვილი.
ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову. (100—12)
ტელეფონი № 741.
ტელეგრამების: Тифлисъ, „Фармацевтика“.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Августа 1901 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა